ჰენრი ჰაზლიტი

ეკონომიკა ერთ გაკვეთილად

საქართველოს უნივერსიტეტის
გამომცემლობა
2019

ჰენრი ჰაზლითი
ეკონომიკა ერთ გაკვეთილად

სარედაქციო საბჭო:
პაატა შეშელიძე (აკადემიური რედაქტორი)**, გია ჯანდიერი, გიორგი ჩიქოვანი, გიორგი ჩხიკვაძე, კონსტანტინე თოფურია**

თარგმნა **დიმიტრი გამყრელიძემ**

რედაქტორი **ელიკო შოშიტაშვილი**
ყდის დიზაინერი **მიშა აბესაძე**
დამკაბადონებელი **რეზო თხილიშვილი**

გამოცემა მომზადებულია ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოსა
და საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომლობით

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
მერაბ კოსტავას გამზირი, 77ა, თბილისი
ელფოსტა: info@ug.edu.ge

ISBN 978-99940-50-38-3

Henry Hezlitt
ECONOMICS IN ONE LESSEN

Editorial board:
Paata Sheshelidze (academic editor)**, Gia Jandieri, George Chikovani, George Chkhikvadze, Konstantine Topuria**

Translted by **Dimitri Gamkrelidze**

Publication prepared in cooperation of New Economic School – Georgia; University of Georgia, Georgia

The Universiy of Georgia Publishing House
www.ug.edu.ge

სარჩევი

აკადემიური რედაქტორის შესავალი 5

2007 წლის გამოცემის წინასიტყვაობა (უოლტერ ბლოკი) 9

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა (ჰენრი ჰაზლითი) 15

ეკონომიკა ერთ გაკვეთილად 19

ნაწილი პირველი: გაკვეთილი 21

თავი I. გაკვეთილი 22

ნაწილი მეორე: გაკვეთილის პრაქტიკულად გამოყენება 27

თავი II. ჩამსხვრეული ფანჯარა 28

თავი III. დაილოცოს ნგრევა 30

თავი IV. საზოგადოებრივი სამუშაო ნიშნავს გადასახადებს 36

თავი V. გადასახადები აფერხებენ წარმოებას 43

თავი VI. კრედიტის გაცემა არღვევს წარმოების სტრუქტურას 46

თავი VII. მანქანური წყევლა 56

თავი VIII. სამუშაო ადგილების გაზრდის სქემები 69

თავი IX. სამხედრო მოსამსახურეებისა და ბიუროკრატების

დათხოვნა 75

თავი X. სრული დასაქმების ფეტიში 79

თავი XI. ვის „იცავენ“ ტარიფები? 82

თავი XII. ექსპორტისკენ სწრაფვა 94

თავი XIII. „პარიტეტული“ ფასები 99

თავი XIV. იქსდარგის გადარჩენა 107

თავი XV. როგორ მუშაობს ფასების სისტემა 113

თავი XVI. ფასების „სტაბილიზება“ 121

თავი XVII. მთავრობის მიერ ფასების დაწესება 129

თავი XVIII. მინიმალური ხელფასის კანონი 140

თავი XIX. პროფკავშირები რეალურად ზრდიან ხელფასებს? 146

თავი XX. „საქონლის უკან გამოსყიდვისთვის საკმარისი ფული“ 160

თავი XXI. მოგების ფუნქცია 169

თავი XXII. ინფლაციის ილუზია 173

თავი XXIII. თავდასხმა დაზოგვაზე 188

ნაწილი მესამე: ახლებურად ჩამოყალიბებული გაკვეთილი 205

თავი XXIV. ახლებურად ჩამოყალიბებული გაკვეთილი 206

აკადემიური რედაქტორის შესავალი

თუ გგონია, რომ ეკონომიკურ და მით უმეტეს, პოლიტიკურ საკითხებთან ყოველდღიური შეხება არ გაქვს, მინდა დაგაფიქრო:

ერთი მხრივ, როდესაც წყლის დალევას, ნათურის ანთებას, ნამცხვრის გამოცხობას ან ტელეფონით დარეკვას გადაწყვეტ, შენ გააკეთებ არჩევანს და გამოხატავ მზადყოფნას, რომ შეიძინო წყლის, ელექტროენერგიის, გაზისა და სატელეფონო სასაუბრო დროის გარკვეული რაოდენობა, რომელიც შესაძლო ალტერნატივების გათვალისწინებით, ყველაზე მისაღებია შესაბამის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ხარისხისა და დანახარჯის (დრო, ძალ-ღონე, ფული) გათვალისწინებით. არჩევანის აუცილებლობა ხელმისაწვდომი რესურსების სიმწირიდან გამომდინარეობს. ყველაფერს პატრონი ჰყავს და რაღაც ფასი აქვს, ამიტომ რამე რომ მივიღოთ, რაღაც სამაგიეროდ უნდა დავთმოთ. ასეთია ყოველდღიურობის ეკონომიკა.

მეორე მხრივ, ამა თუ იმ შენაძენის გაკეთებისას გიწევს გარკვეული ფასის გადახდა, რომლის ჩამოყალიბებაზე, პირდაპირ თუ ირიბად გავლენა აქვთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, პოლიტიკოსთა და ბიუროკრატთა გემოვნებას, შეხედულებებს, რწმენას, წიგნიერებას, კეთილსინდისიერებას, მსოფლმხედველობას და ა.შ. მათი დადგენილი კანონები და რეგულაციები შესაძლოა, გზღუდავდეს მომწოდებლების არჩევანში და არც ფასებზე, ტექნიკურ მახასიათებლებსა და მომსახურების სხვა პირობებზე მოლაპარაკების საშუალებას გაძლევდეს. შედეგად, არჩევანისა და მოქნილი საბაზრო გარიგებების ნაცვლად, ხელში ხისტი ბიუროკრატიული ბრძანებები შეგრჩეს. ასეთია ყოველდღიურობის პოლიტიკა.

ასე რომ, თუკი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლას ფიქრობ, კარგი იქნება გამონახო დრო და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში გვარიანად გაერკვე. ამისათვის გთავაზობ, წაიკითხო1946 წელს გამოცემული ჰენრი ჰაზლითის წინამდებარე „ეკონომიკა ერთ გაკვეთილად“, რადგან მიღებული ცოდნის გამოყენებას მართლაცდა ყოველდღიურად შეძლებ. მით უმეტეს, რომ ნაშრომს ასწლოვანი ინტელექტუალური ფესვები აქვს და უზადო ფრანგი ჟურნალისტის, მეწარმისა და პოლიტიკოსის ფრედერიკ ბასტიას (1801-1850) დაკვირვებებში პოულობს საზრდოს. მას შემდეგ, რაც ბასტიას მსგავსად აღწერთ იმას, რაც ჩანს და აღმოაჩენთ იმას, რაც ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ აუცილებელია რომ კარგმა ეკონომისტმა დაინახოს, გამოიკვლიოს და განაზოგადოს.

„ერთი გაკვეთილის“ შემდეგ:

ვეღარავინ მოგხიბლავთ უფასო სამშობიაროს, ბაღის, სკოლის, უნივერსიტეტის, ოჯახის ექიმისა თუ სამედიცინო გამოკვლევების დაპირებებით, რადგან გეცოდინებათ, რომ ყველაფერ ამას გადასახადის გადამხდელისგან აკრეფილი სავალდებულო გადასახადები ანაზღაურებს, რომელთა რიგებში შესაძლოა თავადაც იყოთ. ამასთან, თუ აღნიშნული შემოთავაზებების ხარისხი არ გაკმაყოფილებთ, კიდევ ერთხელ მოგიწევთ გადახდა და პირდაპირ შეძენა, თანაც ამას გადასახადებიდან არავინ დაგიქვითავთ.

ვერც გაზრდილი სახელმწიფო პენსიების დაპირებები შეგიყვანთ შეცდომაში, რადგან დააკვირდებით, რომ ამას ხშირად ფულის მასის გაზრდის, ანუ ფულადი ინფლაციის განხორციელებით ახერხებენ ხოლმე. მაგრამ ბევრი ფული მეყსეულად არ ნიშნავს მისი ერთეულის კიდევ უფრო მაღალ მსყიდველობით უნარს. პენსიების ამგვარი ზრდა შესაძლოა დანაზოგების გაუფასურებით გადაიწონოს.

ვერც ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა და საპენსიო დანაზოგი მოგნუსხავთ, რადგან როგორც მინიმუმ, ეგებ საერთოდ არ გჭირდებათ და თუ მაინც დაგჭირდებათ, თავადვე გადაწყვეტთ, როდის, რამდენი და სად განათავსოთ.

ასევე შენიშნავთ, რომ „მინიმალური ხელფასები“ ლეგალურ უმუშევრობას გაზრდის, რადგან საბაზროზე მაღალი ანაზღაურება სამუშაოს მოთხოვნის მატებას (მეტი მშენებელი) და სამუშაოს მიწოდების შემცირებას იწვევს (ნაკლები მშენებლობა).

აღმოაჩენთ, რომ პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ დაქირავებულებს შეუმსუბუქონ დამქირავებელთან ურთიერთობების სირთულეები და შეუვსონ ცოდნისა და გამოცდილების დეფიციტი, მაგრამ არა იმის ხარჯზე, რომ ჩამოართვან უფლება, იქონიოს საკუთარი აზრი, იმოქმედოს დამოუკიდებლად და საკუთარი სინდისის კარნახით.

არც ადგილობრივი მეწარმეობის წახალისების ისეთი ხერხები მიგიზიდავთ, როგორიცაა სუბსიდირება, იაფი დაკრედიტება ან საბაჟო ტარიფების გაზრდა, რადგან ადვილად მიხვდებით, რომ გარდა კორუფციის მაღალი რისკისა, როგორც მომხმარებელს, ნაკლებად კონკურენტული და ე. ი. შედარებით ძვირი და ხარისხნაკლული ბაზრები შეგრჩება.

არც ის მოგეწონებათ, რომ გზები და ხიდები, ცათამბჯენები და რკინიგზა შენდება არა იქ, სადაც საჭიროა, არამედ იქ, სადაც შეიძლება და ეკონომიკის მამებს უნდათ.

და რაც მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი ქვეყანას აკვირდება არა განყენებული ქონგურიდან ან კოსმოსიდან, არამედ საკუთარი ბანიდან. რომ თითოეულს აქვს პირადი ინტერესები. რომ მას უნდა ჯერ იყოს იგი და მერე — სხვები. რომ ჯერ თავო და თავო და რომ ეს ყველაფერი ბუნებრივი და გასაგებია. რომ ამის შეცვლა კი არა, არამედ ამაზე მორგებაა საჭირო. ერთის ინტერესებს სხვების ინტერსები უნდა აწონასწორებდეს. ამის ერთადერთი გზა კი თავისუფალი ჰორიზონტალური ბაზარი და არა ბიუროკრატიული ვერტიკალური მმართველობაა. შესაბამისად, მოთხოვნილებათა ურთიერთდაკმაყოფილებაზე მიმართული თანამშრომლობა და არა პოლიტიკური ტრიბუნიდან „გამოწერილი“ რეცეპტები.

თუ ამერიკელი ჟურნალისტის ამ წიგნის რეცენზიებს გადახედავ, ყველგან ამოიკითხავ, რომ ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო

ნაშრომი, რომელიც მკითხველთა ფართო წრისთვის გასაგები ენით ხსნის კავშირებს ეკონომიკასა და საზოგადოებრივ პოლიტიკას შორის. იგი გთავაზობს მარტივ განმარტებას იმისა, თუ რატომ არ მუშაობს ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების სხვადასხვა მცდელობა, ასევე როგორი მოკლე და გრძელვადიანი შედეგები აქვს ამა თუ იმ ეკონომიკურ პოლიტიკას როგორც ცალკეული ჯგუფებისთვის, ისე მთელი საზოგადოებისა და ქვეყნისთვის. ასე რომ, ფანჯრის ჩამსხვრევა ან ურმის გადაბრუნება არ არის აუცილებელი, რომ საღი აზრის გზა დაინახო.

ნუ დაელოდები, გაეცანი და დაისწავლე სულ რაღაც ერთი გაკვეთილი ჰენრი ჰაზლითისგან!

პაატა შეშელიძე
ახალი ეკონომიკური სკოლა —
საქართველოს პრეზიდენტი

2007 წლის გამოცემის წინასიტყვაობა

ამ შესავლის დაწერა ძალიან მსიამოვნებს. თქვენ იცით, როგორ ეუბნებიან ერთმანეთს ზოგჯერ ქალები – „ეს კაბა შენია?“ ჰოდა, ეს წიგნი ჩემია!

ჰენრი ჰაზლითის „ეკონომიკა ერთ გაკვეთილად“ იყო პირველი წიგნი ეკონომიკაში, რომელმაც მართლაც გამიტაცა. მე მქონდა მანამდე რამდენიმე მსგავსი წიგნი წაკითხული, მაგრამ ყველა მოსაწყენი იყო, ძალიან მოსაწყენი. ხომ ვთქვი მოსაწყენი? მათგან განსხვავებით, „ეკონომიკა ერთ გაკვეთილად“ ქეჩოში მწვდა და ბოლომდე აღარ გამიშვა.

პირველად ეს წიგნი 1963 წელს წავიკითხე. არ ვიცი, რამდენჯერ გადავიკითხე მას შემდეგ. შეიძლება ხუთჯერ-ექვსჯერ მთლიანად და მრავალჯერ ნაწილობრივ, რადგან ყოველთვის ვიყენებ მას უნივერსიტეტში ეკონომიკის კურსის კითხვის დროს.

მე კვლავ და კვლავ მაოცებს მისი სიახლე. მიუხედავად იმისა, რომ პირველად წიგნი 1946 წელს გამოიცა, გარდა რამდენიმე სიტყვისა (მაგალითად, ელეონორა რუზველტის ეკონომიკური თეორიების კრიტიკა, რომელზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ), გრჩება შთაბეჭდილება, რომ მისი თავების სათაურები გადმოღებულია დღევანდელი გაზეთებიდან. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე იქნება შემდეგი სამოცი წლის შემდეგაც, ანუ 2067 წელსაც.

ამ წიგნს კიდევ უამრავი წლის სიცოცხლე უწერია. ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ტრადიციების შესახებ დაწერილი სხვა წიგნებიც კლასიკას მიეკუთვნება და მათაც წაიკითხავენ მანამ, სანამ ადამიანი შეინარჩუნებს ინტერესს ამ საგნის მიმართ. ამასთან კავშირში მე მაგონდება, პირველ რიგში, მიზესის „ადამიანის ქმედება“

და როთბარის „ადამიანი, ეკონომიკა და სახელმწიფო“. მაგრამ ეს წიგნები წარმოადგენს ეპიკურ ტომეულებს, რომლებიც შეიცავენ ასობით გვერდს. ჰენრი ჰაზლითის ეს პატარა წიგნი კი უბრალოდ დამწყებთათვის საგანგებოდ დაწერილ ეკონომიკის შესავალს წარმოადგენს. საინტერესოა, რამდენი საგნის შესავალზე შეიძ-ლება ითქვას, რომ ის კლასიკური ნაშრომია? დარწმუნებული ვარ, ძალზე ცოტაზე, თუ საერთოდ რომელიმეზე.

არაფერი არ სიამოვნებს მასწავლებელს ისე, როგორც ის მომენტი, როცა ხედავს სტუდენტის სახეზე საგნის გაგების ნიშანს. მულტფილმები ამ მომენტს ელექტრონათურის ანთებით გადმოს-ცემენ, რომელიც უცებ ჩნდება მაყურებლის თავს ზემოთ. უნდა ვთქვა: მე გაცილებით მეტი „ვაუ“ გავიგონე დამწყები სტუდენტე-ბისგან ამ წიგნის კითხვის დროს, ვიდრე რომელიმე სხვა ნაშრომის გაცნობისას. შესაძლოა, ამ ერთმა წიგნმა თავისუფალი ბაზრისკენ ბევრად მეტი ადამიანი მოაქცია, ვიდრე ყველა დანარჩენმა ერთად აღებულმა.

დიახ, სწორედ ასეა საქმე. ერთადერთი, რასაც ვნანობ, არის ის, რომ ვეღარასოდეს წავიკითხავ მას პირველად. სწორედ ამ სიამოვ-ნების გამო მე მშურს თქვენი, ძვირფასო მკითხველო.

ერთი სიტყვა სტილის შესახებ. შინაარსი შინაარსად, მაგრამ იმ ეკონომისტთა რიცხვი, ვისაც მართლა შეუძლია წერა, თითებზე ჩამოსათვლელია. ჰენრი ჰაზლითი უეჭველად მათ რიცხვს მიე-კუთვნება. მისი სიტყვათა წყობა გაჯადოებს. მართლაც, ამის გამო ახლა უნდა „გავაკრიტიკო“ ცოტათი ავტორი – მისი სტილი იმდე-ნად დახვეწილია, ზოგჯერ საკუთარ თავის ვიჭერ, რომ მისი ეკო-ნომიკური გზავნილი გამომრჩა.

საკმარისია საუბარი პირადი შთაბეჭდილების შესახებ ამ წიგ-ნთან დაკავშირებით. გადავიდეთ თვით წიგნზე.

არსი ჰენრი ჰაზლითის წიგნისა „ეკონომიკა ერთ გაკვეთილად“ მართლაც გაკვეთილს წარმოადგენს: „ეკონომიკის ხელოვნება მდგომარეობს მოცემული ქმედების ან პოლიტიკის არა უშუალო, არამედ გრძელვადიანი შედეგების დანახვაში; იგი მდგომარეობს